

საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის
სხდომის

ო ქ მ ი # 13

ქ. საჩხერე

2020 წლის 26 ოქტომბერი

სხდომის ესწრებოდნენ: ლ. დეკანოიძე ი. ძინძიბაძე, ნ. ბულაძე, დ. მაჭარაშვილი,
მ. დემეტრაშვილი, მ. ნოზაძე.

არ ესწრებოდნენ: შ. ტყემალაძე (იმყოფება საავადმყოფო ფურცელზე), თ. კალმახელიძე.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდა საჩხერის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი ჩხიკვაძე.

დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი

საჩხერის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის (იანვარი - სექტემბერი)
შესრულების შედეგები

/ მომხს: საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ლ. დეკანოიძე/

მოისმინეს: საჩხერის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის
შესრულების ანგარიში. მომხსენებელმა კომისიას მოახსენა, რომ დამტკიცებულ
ბიუჯეტში 2020 წლის იანვარ - სექტემბერში ცვლილება განხორციელდა ათჯერ და
ბიუჯეტის მოცულობა გადასახდელების ნაწილში განისაზღვრა 35 102 000 ლარით, ხოლო
შემოსულობებმა შეადგინა 28 740 900 ლარი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტის ფაქტიურმა შემოსულობებმა
აღნიშნული პერიოდისათვის შეადგინა 16 265 900 ლარი, რაც ცხრა თვის გეგმის

18 429 400 ლარის 88,3 პროცენტს შეადგენს. 2020 წლის ცხრა თვეში 2019 წლის ცხრა თვესთან შედარებით ბიუჯეტის შემოსავლები და შემოსულობები გაზრდილია შესაბამისად 430 500 და 490 800 ლარით. ბიუჯეტის საკასო შესრულებამ იანვარ - სექტემბერში 17 026 800 ლარი შეადგინა, რომლის საერთო მოცულობიდან ხარჯების დაფინანსებას მოხმარდა 6 758 600 და არაფინანსური აქტივების ზრდის დაფინანსებას 10 231 000 ლარი.

კომისიაზე განხილულ საკითხზე თავიანთი მოსაზრებები გამოთქვას და აქტიურად მონაწილეობდნენ კომისიაზე მყოფი ყველა წევრი.

დაადგინეს:

- საჩხერის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულების შედეგები განხილული იქნას საკრებულოს სხდომაზე.

საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: *ქ. გ. /ოქტ/* /ლ. დეკანოიძე/